შპს კავკასიის ბიზნესის სკოლის

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

შპს კავკასიის ბიზნესის სკოლის პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკის (შემდეგში „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა") მართვის სისტემა უზრუნველყოფს: კომპანიის პერსონალის, მომხმარებლის და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაცვას, უსაფრთხო შრომას, ჯანმრთელობისთვის ნეგატიური ფაქტორების სწრაფ გამოვლენას, რისკების შეფასებას და ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის საზიანო ფაქტორების ზემოქმედების შემცირება/აღმოფხვრას.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვას და განხორციელებაზე, უსაფრთხოების სტანდარტების ზედამხედველობაზე და საჭირო რესურსების უზრუნველყოფაზე.

დოკუმენტში ასახული პრაქტიკული ნორმების დაცვა სავალდებულოა კომპანიის პერსონალის, მომხმარებლის და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთათვის გამოსაყენებლად, შესაბამისიპასუხისმგებლობის ფარგლებში.

კომპანიის ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ თანაზომიერად დაიცვას სამუშაო სივრცეში მყოფი ყველა დასაქმებული/მესამე პირი, იმ საფრთხის შემცველი ფაქტორებისგან, რომელიც მავნეა მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და რომელიც შესაძლოა, წარმოიშვას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან/და სამუშაო სივრცეში მათი ყოფნის პერიოდში.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა წარმოადგენს კომპანიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებას. მისი მიზანია კომპანიის ტერიტორიაზე მყოფი ყველა დასაქმებული და სხვა პირი, უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემოთი, დაიცვას ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები ყველა სამუშაო ოპერაციის დროს და თავიდან აიცილოს ინციდენტები. შესაბამისად, კომპანია ზრუნავს:

- სამუშაო სივრცეში მყოფ ყველა პირის უსაფრთხოებაზე. ადამიანთა ჯანმრთელობისა და/ან სიცოცხლისათვის ზიანის მიყენების გამომრიცხველი პრევენციული მექანიზმების შემუშავებას;
- პოლიტიკის დადგენილი დებულებების ეფექტური აღსრულებისთვის სათანადო რესურსების (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და სხვა) მიმართვას;
- საწარმოო გარემოს სისტემურ და კვალიფიციურ შეფასებასა და ეფექტური ღონისძიებების განსაზღვრას;
- პოლიტიკის თანმიმდევრული განვითარების უზრუნველსაყოფად სამუშაო პროცესებისა და სამუშაო გარემოს მუდმივ სრულყოფას;

ბათუმი
2025

პოლიტიკის დოკუმენტის მიზნიდან გამომდინარე **შპს კავკასიის ბიზნესის სკოლა-მ** შეიმუშავა შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა. დადგენილი პერიოდულობით შეისწავლის და აფასებს საწარმოო გარემოს ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სამუშაო სივრცეში მყოფი ადამიანების ჯანმრთელობაზე და ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, რომელიც შესაბამისობაშია ადგილობრივ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან და ორიენტირებულია შრომის უსაფრთხოების მაღალი კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

კომპანია ახორციელებს სამუშაო სივრცეში არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებას და მათგან მომდინარე რისკების მართვის მიზნით, გეგმავს და ნერგავს მაკორექტირებელ ღონისძიებებს და პერიოდული სწავლებების მეშვეობით დასაქმებულებს აწვდის ინფორმაციას სამუშაო სივრცეში არსებული რისკებისა და მათ საკონტროლოდ დანერგილი ზომების შესახებ.

შპს კავკასიის ბიზნესის სკოლა სისტემატურად მიმოიხილავს შრომის უსაფრთხოების სისტემის ეფექტურობას და მზადაა უზრუნველყოს სწრაფი და ეფექტური რეაგირება ნებისმიერი სახის შეუსაბამობაზე და ინცინდენტზე.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნასა და აღსრულებაში დასაქმებულთა მონაწილეობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კომპანიისთვის. კომპანიაში ნებისმიერი დასაქმებულისთვის უზრუნველყოფილია ინფორმაციულობის, კონსულტირებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმზე ხელმისაწვდომობა. ყველა დასაქმებულს შეაქვს საკუთარი წვლილი შრომის უსაფრთხოების სისტემის ეფექტურობაში და გამართულად ფუნქციონირებაში. შრომის უსაფრთხოების სისტემა ვერ იმუშავებს ეფექტურად, თუკი დასაქმებულები არ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს და პასუხისმგებლობით არ მოეკიდებიან უსაფრთხო შრომის პრინციპებს.

კომპანიის სამუშაო სივრცეში მყოფი ყველა პირი ვალდებულია დაემორჩილოს კომპანიაში დანერგილ შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტებს.

ვამტკიცებ **შპს კავკასიის ბიზნესის სკოლის დირექტორი**

დირექტორი: /_____/

ბათუმი
2025